ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №282537

ნომერი: AR167381

თარიღი : 19.07.2012

გაცემის თარიღი : 27.07.2012

გაცნობის თარიღი : 27.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ახვლედიანი , N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 02/053);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- თერჯოლის რაიონი სოფელი თუზი

ორგანიზაცია:
- შპს წუნდა კოდი: 208173723

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ:
– ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.19.16.002.053) გაცემულია მშენებლობის უფლების გარეშე, მასზე რაიმე სახის მშენებლობის (მათ შორის ღობის) ნებართვას სამსახური ამ ეტაპზე ვერ გასცემს, ხოლო თუ მოხდება ამ ვალდებულების მოხსნა მაშინ წარმოსადგენი იქნება ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ვალდებულების გარეშე) და სამსახური თავიდან განიხილავს საკითხს და მიიღებს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადებში.

აქვე გაცნობებთ, რომ მეორე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.19.16.002.038) შესაძლებელია ღობისა და პირველი კლასის შენობა-ნაგებობის განთავსება, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
– „ფაილის მიმაგრების" ველში აიტვირთოს საკადასტრო გეგმებზე დატანილი საპროექტო შენობის და ღობის განთავსების არეალი.
- წარმოსადგენია მხოლოდ #01.19.16.002.038 მიწის ნაკვეთის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშაბეული ფოტომონტაჟები ღობის სიმაღლის, შენობის გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "წუნდა", რომლის დირექტორიც სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად არის ალექსანდრე ნათენაძე, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ ზურაბ კირკიტაძემ, ასევე დოკუმენტაციის ავტორის მონაცემებში მითითებული გაქვთ შპს "წუნდა" და თქვენი სახელი და გვარი. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად თქვენი გვარი არც დირექტორის გრაფაში და პარტნიორების გრაფაში არ ფიგურირებს. აგრეთვე სამსახურისთვის გაუგებარია შპს "ბიემეს"-ის ეფლებამოსილება, რომელიც თქვენს სახელზე გასცემს მინდობილობას. ვინაიდან აღნიშნული ფირმა არც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა და არც შპს "წუნდა"-ს მინდობილი პირი. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს შპს "წუნდა"-ს დირექტორის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ან ახალი განცხადებით მოგვმართოს შპს "წუნდა"-ს დირექტორმა ალექსანდრე ნათენაძემ.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.